KA040199575230614

საქართველო, თბილისი, 0105, ლეონიძის ქ №3; ტელ.: (+995 32) 2 19 27 27; ფაქსი.: (+995 32) 2 92 33 78; ელ–ფოსტა: info@csb.gov.ge; www.csb.gov.ge

№ გ9810 **31 / დეკემბერი / 2014 წ.**

ააიპ - „საქართველოს რეფორმების ასოციაციის'
(GRASS) დირექტორს ბატონ სერგი კაპანაძეს

ბატონო სერგი,

სსიპ - საჯარო სამსახურის ბიურომ განიხილა თქვენი 2014 წლის 5 დეკემბრის N820 წერილი, რომელიც ეხება 2014 წლის პირველ იანვრამდე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილე პირთა შესახებ ინფორმაციას.
გაცნობებთ, რომ 2014 წლის პირველ იანვრამდე ბიუროს ვებგვერდზე www.hr.gov.ge-ზე გამოქვეყნდა 10527 ვაკანსია, რომელზეც 644671-მა მოქალაქემ გააკეთა განაცხადი.
„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილების მიღების შემდეგ საჯარო დაწესებულებებს დაევალათ ბიუროსთვის ჩატარებული კონკურსის შესახებ ინფორმაციის წარდგენა. შესაბამისად, ამ დროისთვის ბიუროში არსებული ინფორმაციის თანახმად, კონკურსში მონაწილეობის მიღების შემდეგ თანამდებობაზე დაინიშნა 800 მოქალაქე. აქვე გატყობინებთ, რომ ბიურო არ ფლობს დეტალურ ინფორმაციას თანამდებობაზე დანიშნულ პირთაგან რამდენი იყო მოვალეობის შემსრულებელი.

პატივისცემით,

ბიუროს უფროსი ეკატერინე ქარდავა